

მხარეს არწინისამდის ხალხი მოწამ-
ლულის წყლით დაიშხამა. მეთუღუ-
ხეებს საზოგადოარ მყარლი ადამიანის
განაეღის სუნისა და ყვითელი წყალი
მოჰქონდათ. ბევრს ახალი თულუხის
ტყავის მიზეზი ჰკონებიათ, მაგრამ
სუნზე დაუტყვიათ რაც არის.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ
ქალაქის არხის ადგილს იღებენ მეთუ-
ღუხეები წყალსა. ქალაქმა ყველას
ნება მისცა, რომ ამ არხში ჩაიყვა-
ნონ პატარა არხებით ფენის-ადგილე-
ბის ღარები და ესე მშვენიერება
აწავებს მტკვრის წყალსა. ამ დღებ-
ში, რადგანაც ყინვა იყო, არხთან
იღვა სიმურტლე და ამოჭრილ ყინ-
ულში დგებოდა; თულუხებიც აქედან,
წყალს იღებდნენ. საზოგადოდ უნდა
ეთქვას, რომ მუდამ ზამთარ-ზაფხულს
არხიდან მოყოლებული, ავლაბრის
ხიდამდის ნაპირ-ნაპირ წყალს მიაქვს
ეს არხის სიმურტლე. თითქოს გან-
გებ მეთულუხეები გამოიღმა მხარეს
უფრო ამ ადგილებიდან ეზიდებიან
წყალსა, ხუთი-ექვსი ჩასავლელი ად-
გილი იმ მოწამლულ მღვრიე ნაპირს
ეშვება და აქედამ იმსება თულუხები.

შესაძლებელია განა ამისთანა ქა-
ლაქში, საცა განსაკუთრებული წმინდა
წყლის გამოსაყვანი მიღები არ არ-
სებობს, რომ მდინარე ფენის-ადგილად
გარდააქციონ? მხლა ძალიან გამოჩნდა
ეს ნაკლებულობა.

მართი ღონისძიება ხალხის გადარ-
ჩენისათვის, რომ ყველა არხები ფენის-
ადგილებისა დაანგრეონ და ხალხი დაშ-
ხამვას გადაარჩინონ. თორემ სახლებში
წმინდა წყლის გამოყვანამდის ჯერ
კიდევ ასიოდ წელიწადი გაივლს.

ჩვენ გვთხოვენ შემდეგ შენიშვნის
დაბეჭდვას გაზეთში:

„ამ დღებში იქმნება კონცერტი,
რომლის შემოსავალი არის დანიშ-
ნული დავრომილ რეალურ სასწავ-
ლებლის შაგირდების შესაწევარად.
ღარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სა-
ზოგადოება ამ შემთხვევაში გამოაც-
ხადებს თანაგრძობას. ჩვენში ღარი-

გამოაცხადა აფიშებით, რომ ხალხის
უმრავლესობით არჩეულები ბატ. გუ-
ბერნატორმა დაამტკიცაო.

შვილა ხალხს კანონიერის ჩივილის
უყურადღებოდ დარჩენის გარდა, არც
ის იყო გასაგები, რომ ძველმა დეპუ-
ტატებმა ბათუმი დაღუპეს, გაჰყიდეს,
არაფინ იცის ამდენი ფული რაში
ინარჯებოდა და უკანასკნელად სასმე-
ლი წყალიც არა გვაქვს, მაგრამ ამა-
თი გამოცვლის მაგიერ უფრო მაგრა
დაიდგეს ფესვები და თავისივე ნაირი
მშრომელი და საქმის მკოდნეებიც
მოიყვანეს გვერდით და ამ ნაირად
უნდა ააშენონ ჩვენი ბათუმი!

ამ ამბების გამომგონი ხალხი მად-
რიელნი იყვნენ ძველებისვე დარჩენა-
ზე, რომ ახლები აღარ არჩეულიყვნენ,
მაგრამ არ შეიძლებოდა, რადგანაც
მაშინ უკანონობის ჩადენად ჩათვლე-
ბოდათ, რომ ამდენ ხანაც ოთხის

ბი მოსწავლენი სწავლაში ხელმოკლე-
ბულნი არიან. წარმოიდგინეთ, რომ
ზოგიერთი საწყალი შაგირდები ჩვენს
განზე გასულ ქალაქში არიან დაფან-
ტულნი და მომწვედელნი ისეთ
ოთახებში, სადაც კაცის ცხოვრება
ცხოვრებად არ ჩაითვლება. დაქან-
ცულთ ბევრის სწავლისაგანა ამ ყმაწ-
ვილებს მოკლებული აქვთ თბილი
სადგომი, ტანსაცმელი და საქმელი.
ბევრმა იქნება ეს ამბავი არ დაიჯე-
როს, მაგრამ ესეთი მდგომარეობა
შაგირდებისა ჭეშმარიტება არის. მარ-
თალია, ყველას გასჭირებია ცხოვრე-
ბა, მაგრამ შემწეობა დავრომილ
ყმაწვილ მოსწავლეთა ჩვენი თავის
შემწეობაა. ეს ყმაწვილ კაცობა არიან
ჩვენი შვილები, ნუგეზნი და იმედნი
ჩვენის საზოგადოებისა და ქვეყნისა.
მიხეც ამ შემთხვევაში გულ-გრილობას
გამოაცხადებს ის გამოხს თავის მოვა-
ლეობას“.

საშინელი ყინვების შემდეგ ისეთ
ნაირად დათბა ჩვენს ქალაქში, რომ
თოვლი და ყანული სრულიად გაად-
ნო მჩემ და ამის გამო ისეთი ლაფი-
დადგა ქუჩებში, რომ ზოგან მუხ-
ლამდინ ტალახში ვარდება კაცი.
თუ ჩვენს პირველ ქუჩაზე—ბალაგო-
ნის პროსპექტზე, რომელსაც თი-
თქმის მუდამ დღე ჰგვიან, ასაე, თქვენ
წარმოიდგინეთ—რა უნდა იყოს მიგ-
დებულ-მიყრუებულ უბნების ქუჩებ-
ში, რომლობსაც წელიწადში ერთხელ
არ ეღირსებათ ცოცხის ნახვა...

ზუგდიდიდან გვატყობინებენ, რომ
გავლილ ნოემბრის 29-ს იქ შეკრე-
ბილია მაზრის სამღვდელთა სამეგ-
რელოს სასწავლებლის თობაზედ
მოსალაპარაკებლად და გარდაუწყვე-
ტიათ, რომ, რადგან, სხვაგან სადმე
გადატანა მოუტეილის სასწავლებლისა
ჩვენთვის ერთობ მოუხერხებელი იქ-
ნება, ამის გამო ვითხოვთ, რომ
ზუგდიდში გადმოიტანონ.

ამასთანავე გვაცნობებენ, რომ
ზუგდიდის ეპარქებს გარდაუწყვეტიათ,

მაგიერ მარტო ორი დეპუტატი ჰყა-
დათ.

სწორედ ამ არჩევებმა და ამ დეპუ-
ტატებმა იყო, რომ მეგრელი ძიძის
და მკურნალის გაზეთის კორრესპონ-
დენტი აღტაცებაში მოიყვანა და ისი-
ნი „საუკეთესობას“ სახელითაც გააბედ-
ნიერა. ამ ნაირი გაზეთის კორრესპონ-
დენტის მოწონებულ და იმ ნაირ
ხალხის ამორჩეულს სხვა ვინღა დაი-
წუნებდა და დაუმტკიცეს ბათუმს ბა-
ტონებად და ჩააბარეს ქალაქის საქ-
მეების ბედი.

ახლა აღმოჩნდა, რომ ამ ბ-თუმის
ბედის გამეგ ორი დეპუტატთაგანი
დაჭერილია საპრობილეში! ამათ
აბრალებენ ბათუმის მომრიგებელი
მოსამართლის კამერიდამ, ცეცხლის
დროს, ზოგიერთ ქალღლების და-
კარგვაში მონაწილეობის მიღებას; მე-
სამე დეპუტატის შესახებაც აღმოჩნდა,
რომ იმას ბათუმში ერთი მტკაველი

თუ ჩვენს დაბაში გადმოიტანენ
სასწავლებელს, ჩვენის მხრით ხუთი
ათას მანეთს შევსწირავთ, ხუთი
წლით უფასოდ სასწავლებლისათვის
სახლოს და როდესაც სახლის აშენე-
ბას განიზრახვენ, მიწას უფასოდ
დაუთმობთ. ეს თავის გარდაუწყვე-
ტილება იმერეთის ეპისკოპოსისათვის
გაუგზავნიათ.

ჩვენ კიდევ იმ აზრზე ვდგევართ,
რომელიც ამას წინად გამოეტქვით:
ყველაზე უმჯობესი და ყველას და-
მაკმაყოფილებელი ის იქნება, რომ
მოსამზადებელი კლასები ზუგდიდში
და მარტვილში იქნეს და უფროსი
კლასები-კი სენაკში გადაიტანონ.

ხეაღინდელ სხდომაზე ქალაქის
რჩევას, სხვათი შორის შემდეგ საგან-
ზე ექნება სჯა:

ზამგეობის მოხსენება აუტკიონის
ქამერის შესახებ და იმის ვამგებელის
არჩევანზე;

მოხსენება ზამგეობისა სიონის ქუ-
ჩის გაგანიერებაზე;

ქალაქის თავის წინადადება მუხ-
რანიანთ ხიდის შესახებ და სხვ.

„დროშის“ კორრესპონდენცია

ბუშბრი (აღუქასაძრავოლა), 7 დე-
კემბერს. ჩვენს ქალაქში კარგი ხანია
არსებობს სამოქალაქო სასწავლებელი,
რომელიც სხვა-და-სხვა მრავალ მიზე-
ზების გამო, ვერ სწვდებოდა თავის
მიზანსა. ამასთანავე უნდა მოგახსენ-
ნოთ სასწავლებელს ამ დრომდის
უთაებოლო ზედამხედველები ჰყვანდა.
ამ წლის ოქტომბერში აქ გადმოი-
ყვანეს ნუხილამ სამოქალაქო სასწავ-
ლებლის ზედამხედველად ბ-ნი პ. ნი-
კოლაევი, რომელიც გარდა იმისა,
რომ არის დახლოვებული მასწავ-
ლებელი და მშვენიერად იცის ადგი-
ლობრივი ენები; ქართული, სომხუ-
რი და თათრული, არის მოცადინე და
კეთილის მსურველი საზოგადო სასარ-
გებლო საქმისა. რა ჩაიბარა ამ ნიკო-
ლაევმა ეს სასწავლებელი, დააკვირდა

მიწაც არა ჰქონია. მეოთხეზედაც ამ-
ბობენ, რომ ოსმალოს დროსვე სა-
ზოგადოებიდამ და მთავრობისაგან ყვე-
ლა საზოგადო თანამდებობიდამ გა-
მორიცხული ყოფილა და დღეს ქა-
ლაქის საქმე აბარიაო. მართს კიდევ
სხვა მოხელეს აბრალებენ, რომ იმას
ქალაქის სახლების კლიტე აბარიაო,
რომ არაფინ ვატყობო, მაგრამ თი-
თონ კი, ერთი მსუქანი საქმის გუ-
ლისათვის, სხვის სახლი გასტეხაო და
გამოძიება არის თუმც დანიშნული,
მაგრამ თავის ადგილზე მაინც მაგრად
უდგას ფეხიო.

აი, ბატონებო, რას აბრალებენ იმ
კაცებს, რომლებსაც ვითომ ხალხის
უმრავლესობამ თავიანთი ბედის მართვა
მიანდოა?

ბათუმის უსუფთაო ქუჩები დაამშვე-
ნიერა ოსმალოდამ გადმოსულმა ორი
ათას სულზე მეტმა ბერძნის ოჯახო-
ბამ, რომლებიც თათრების უსამართ-

მისს უთაებოლოებას და მოწვევითა
მოუმზადებლობას ბოლოს შემყარა
მასწავლებელთ კრება და გამოუცხა-
და, რომ სასწავლებლის ამ მდგომ-
არეობაში დატოვება არ შეიძლება,
უნდა მივიღოთ რამე ღონისძიე-
ბაო.

შემდეგ მცირე ბაასისა მასწავლე-
ბელთა კრებამ დააწესა: რომ სთხო-
ვონ ნება-რთვა ბ-ნს დირექტორს და
მისის ნება-რთვით დააწესონ „სალა-
მოსის საკითხავი“ (ბიბლიოთეკა). პერე-
თვე გამოიწერეს წიგნები ას-ოცი მა-
ნეთისა პირველად. სადილოთ უკან
საათის ოთხზე მეორე და მესამე კლასის
შაგირდები შეიყრებიან აქ და
ერთ ერთ მასწავლებელის ზედამხედ-
ველობით ჰკითხულობენ სხვა-და-სხვა
თხზულებასა, რომლის ანგარიში შემ-
დეგ ყოველის კვირისა უნდა ჩააბარონ
თვისს მასწავლებელს, როგორც პი-
რად, აგრეთვე წერილობით. იგივე
მოვალეობა ზავშების ხელთ-მძღვანე-
ლობისა იკისრა ბ-ნმა ნიკოლაევმაც.

მს ამბავი დიდის სიხარულით მიი-
ღეს როგორც მოსწავლე ბავშვებმა,
აგრეთვე მათ მშობლებმა.


პირველი საკითხავი საღამო გაიხსნა
დეკემბრის ხუთს ნასადილევს 4 საათ-
ზე. უნდა გენახათ—რა სიამოვნებით
მოდიოდნენ მოსწავლე ბავშვები და
კითხულობდნენ წიგნებსა.

ალექსანდროპოლის საზოგადოება
უძღვინს გულითად მადლობას ამ
საქმისათვის ბ. ნიკოლაევს და იმის
თანაშემწეებს და დარწმუნებული ვართ,
რომ ენერგიულად განაგრძობენ ამ
ყოველად სასარგებლო და პატივსაცემ
შრომას. ამასთანავე იმედი ექიანოთ,
რომ სხვა სამოქალაქო სასწავლებელ-
თა ზედამხედველებიც მიბაძვენ ნი-
კოლაევის მაგალითს.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! ჩემი ახირებული
თავ-გადასავალი უნდა მოგახსენოთ და
გთხოვთ თქვენს გაზეთში საქვეყნოდ
გამოაცხადოთ და ამასთან გარწმუ-
ლობას გამოჰქციეინ და რუსების სა-
მართლიანობას შეეფარნენ. ამბობენ,
ოთხი ათას სულამდი კიდეც აპირებენ
მოსვლასაო. უშველოსთ ღმერთმა
ამათ და პოლიციას, ამათ წყალობით,
დიდ-კაცების ქუჩები თუ მალე მორჩი-
ნენ, ღარიბი ხალხის ქუჩებსაც გა-
აწმენდინებენ! ჯერ კი ამ ავდრებმა
ამისი იმედი დაგვეკარგა, რადგან იმათ
ყველას ქალაქს გარეთ, ესრედ წოდე-
ბულ „სამხედრო ქალაქის“ ყაზარმებ-
ში ბინა მისცეს და გამოდარებას უტ-
დაან; მაგრამ ამბობენ იმათ შარსის
მაზრიდამ გადასახლებულულების ადგილს
აძლევენ და თუ გამოიდარა და წა-
ვიდნენ, კიდევ დავრჩებით ჩვენ და
ჩვენი მყარლი ქუჩები.

მაინც ხომ არ ეღირსა ბათუმის
ქუჩებს მოსვენება? ახლა პრთენის
მაზრიდამ და პრდანუჯიდამ ხუთას
სულამდი ოსმალოში გადასახლებე-
ლი მუჯირები მოვიდნენ და მიდიან;



ნებთ, რომ ყოველივე ჩემი ნაანბნობი ამ წერილში არის მართალი და შეუცვლელი ჭეშმარიტება.

აი, საქმე რაში მდგომარეობს.

მე ვახლავარ ერთი ღარიბი კაცი, რომელიც მოვზარებულვარ ჩემს ოჯახს და ორი გროშასათვის ვსცხობოვრებ სხვის კარზე. მინდა მოვახსენოთ, თუ ჩემსთანა საწყალ კაცებს, როგორ ექცევიან ზოგიერთი დიდი კაცები. ამ წლის ივნისში ქალაქში მობრძანდა თ. ბ. ჩ-ლი, დამიბარა სასტუმროში და მთხოვა, რომ მას წამყოლოდი ქუთაისში მზარეულად, რადგანაც მას გავეცა, რომ მე ეს ხელობა კარვად ვიცოდი. მე მოვთხოვე მის ბრწყინვალეობას თვეში ორმოცდაათი მანეთი, მაგრამ მან მიბრძანა, რომ მომცემს თვეში ორმოც მანეთს და სხვა პატივის ცემასაც არ დამაკლებს. თუმცა მართალია, რომ მოცი მანეთი მე სადაც ვიდექი, იქაც მიძღვოდა, მაგრამ ვარჩიე ქუთაისში ყოფნა, რადგან ჩემს მახლობლებთან უფრო ახლოს ვიქნებოდი. ამიტომ მივატოვე ჩემი ძველი ადგილი და წავეყვი ქუთაისში.

ერთი კვირის შემდეგ, მიმიხმო თ. ჩ-ლმა თავის კაბინეტში და მიბრძანა, რომ მომეწერა ხელი თხოვნაზე, რომ იმ თხოვნით ის ჩამწერს მე პოლკში; პოლკიდან გექნება ოცდაათი მანეთი თვეში და ათ მანეთსაც ჩემი ჯიბიდან დავითავებო.

სამსახური შესვლაზე მე მოვახსენე, რომ მოვიტოვებ, მოვიტოვებ და თუ მომივა ტყუაში, მაშინ მოვახსენებ პასუხს. ამაზე, ცოტა აო იყო, გაწყრა კნიაზი, — როგორ თუ არგინდა სამსახურში ჩაწერა; მაგრამ მე გამოვედი გარეთ და დავიწყე ჩემი საქმის კეთება.

შემდეგ დავეკითხე ზოგერთ ნაცნობს — თუ რას მიჩივებდნენ სამხედრო სამსახურში შესვლაზე. ბევრმა მათგანმა დამარბა, არამც და ირამც არ გავიწყრეს ღმერთი, არ დავწერო სამსახურში, თორემ შენც ისეთ და გიწყებენ წვალეობას, როგორც სხვებსაო, მაშინ ყოველივე იმაზე იქნება

ესენი მუქთად ზომიერ ქუჩებს და ზელოვან ტალახს და ამ ნაირად გვიფუჭებენ ქუჩებს... ნეტა ესენი ვილას ექცევიან? ან ვისი გამოკვეთლები არიან?!

მაგრამ უნდა გავტყუდოთ, რომ, თუ ამათ აქ ნამყოფებიც თავიანთი ჩვეულებებით მოგვაშორეს და წავიდნენ, დიდ სიამოვნებათ ჩავთვლით. აქაურებს-თქო რომ ვამბობ, ვამბობ იმ გაცვეთილ კაცებზე, რომლებსაც თავიანთი პატიონება, სენილისი და ტყუა-გონება, მზად არიან, ერთ ფინჯან ყავაში გაჰყიდონ და უმფროსის გალრეკით ათასობით საწყალი ღარიბი ხალხის ბედი და სიმათლე ფენ-ქვეშ გასრისონ; და ზოგიერთებს კიდევაც აქეთ ამის ღონის-ძიება და იარაღი. მსმალოს მთავრობის უთაგბოლო მსგელობას და პირმოთენობითს ხასიათს ისეთ-ნაირად დაუცია ესენი,

დამოკიდებულია, როდესაც ესურვება, უღანაშაულოდაც, შეუძლია თითო თვე ნაობახტში ჩაგვასა და სხვ.

ამისთანა დარიგების შემდეგ მე არა ვითარი პასუხი აღარ მომიხსენებია თ. ჩ-ლისთვის.

ზანდლო ორმა თვემ, და კიდევ დამიბარა თავის ოთახში და მკითხა: — მსურს ჩავეწერო პოლკში, თუ არა. მე კიდევ უარი მოვახსენე. დამიწყო წყრომა იმაზე, რომ ვითომ მე უწერდე დიდს ანგარიშს. ამის პასუხად მოვახსენე, თუ მის ბრწყინვალეობას ჰსურს, სხვას აყიდინოს ხორაგი და მე გავაკეთებ, და თუ არც ეს ჰსურს, ვსთხოვე ეძიოს ჩემს მაგიერად კაცი. ამით ანთო კნიაზი, როგორ თუ შენ გაბედე სიტყვის შემობრუნებაო, წამოდგა ფეხზე და რაც არ ეკადრებოდა მის ბრწყინვალეობას, იმოდენი შეურაცყოფა მომაყენა. შემდეგ გამოვიდა გარეთ, და უძახა თავის ესადნიკებს და უბრძანა, რომ მე წავეყვანეთ სანხედრო ნაობახტში.

დასწერეს ქალაღი და ყარაულეობით წამიყვანეს ნაობახტში. დამამწყერიეს ერთს სანახევროდ ბნელს ოთახში, სადაც ფიცრული იატაკის მეტა არაფერი არ იყო, და დამიკეტეს კარები.

ამნაირად შევიქენი ტუსაღი.

დალამდა ის დღე, ჩემი მომკითხავი არავინ არ გამოჩნდა; მეგონა მეორე დღეს გამომიშვებენ — მეთქი. მაგრამ მეტი თქვენი მტერი ნუ ყოფილა: ხუთი დღე და ღამე ჩემთვის არც საჭმელი, არც სასმელი; პატრონი არავინ გამოჩნდა; დაუმალოს ღმერთმა, მესამე დღეს, ერთმა სალდათმა მომაწოდა ერთი ნაჭერი შავი პური, ისიც იმიტომ მგონი, სამხედრო მოსამსახურე კაცი მილიციონერი ვეგონე. ეს იყო, ბატონებო, ხუთი დღის ჩემა სარჩო.

მეექვსე დღეს, დილით გაიღო კარები და გამომიშვეს. იმ წამსვე შევედი პოლკის კამელოარიაში, მინდოდა ვინმე მიმეზახენა თ. ჩ-ლთან

რომ ამათში ადამიანის ღირსებას ვერ ნახავ.

მენი, მაგალითად, არიან დაჩვეული მსმალოს დროს, რომ, თუ ერთი რომელიმე მოსამართლე ან ხელოსანი არ მოეწონებოდათ, ვაკეთებდნენ მოხსენებას უმაღლეს ადგილებში გასაგზავნად, დაარტყამდნენ თავიანთ და სხვის, მოსყიდულის, სახელის ბეჭდებს და გავზავნიდნენ ხშირად პირ-და-პირ სტამბოლში.

ამნაირი ოინზაზობით საქმეს ათავსებდნენ, რადგანაც ამისთანა საქმეებზე მსმალოს მთავრობამ გამოძიების დანიშნა არ იცოდა. ერთის სიტყვით, ვაი იმის ბრალი, ვისაც ამისთანა გაცვეთილი კაცების თვალი გლახად შეხედავდა და ყოველთვის იმათ მონებაში არ იქნებოდა.

ამნაირი გასაყიდი ბეჭდებით, ჩვენ გვიტარეს, რომ ჩვენი მთავრობაც შეუწყენიად შეცდომაში, მაგრამ მა-

და მემეთხოვა დანარჩენი ჩემი მასთან ქალაღდები, ბოლეთი, ატესტატი და ჯამაგირი. შევედი კანცელარიაში თვარა, შემეხდა თ. ლ — ძე და მიბრძანა, შენ უნდა შემოიტანო ასტაგკაო. მე უპასუხე, რომ მე არასოდეს არ ვყოფილვარ სამსახურში-მეთქი და პოვრები არასოდეს ასტაგკას არ აღევენ, როდესაც ადგილიდგან გამოდიან-მეთქი და ვსთხოვე კნიაზთან დარჩენილი ქალაღდები და ჯამაგირი, მომეცეს. ამ სიტყვებზე თ. ლ — ძემ დამიბარახუნა ფეხები და მიბრძანა, მალე მოაწერე ხელი ასტაგკაზე, თვარა გავრალში მიგაბრძანებო. თვითონ წაბრძანდა საღაცა.

მივბრუნდი ნაობახტში, მინდოდა წამომელო ნომერი იმ ქალაღდისა, რომლითაც მე ვიყავი გაგზავნილი; მოვთხოვე ქალაღდი და აღმოჩნდა, რომ თურმე ათას ნაირად მოურთავთ ჩემი საქმე:

ერთი ჩემი გვარის კაცი მიხეილ შაბრიელის-ძე მანიძე მსახურებს ესადნიკად, რომელიც იმ ყამად სოხუმში იმყოფებოდა; დაუწერიათ ქალაღდი მის სახელზე და მე ლაზარე ბიარგისძე მანიძეს კი ეს განსაცდელი მაჩვენეს...

წამოვიღე ნომერი გავაკეთებინე თხოვნა და სულ ყველა სასამართლოები დავატარე ქუთაისში, თქვენც არ მომიკედეთ, კაცმა ხელი არ მოკიდა ამ ჩემ თხოვნას. მივედი ადვოკატთან და ვსთხოვე გამოსარჩლება. მითხრა: რა ექნა, ჩემი კარგი ნაცნობია და იმის საქმეს ხელს ვერ მოვიკიდებო. წამოვედი ჩემს ბინაზე დარდიანად და ერთს ამხანაგს შევსჩივე ჩემი საქმე.

ამ ლაპარაკზე წამომესწრო ერთი უადგილო ლოთი მწერალი და მითხრა, რამ შეგაწუხა, სამართალი ქვეყანაზე რამ მოსპოვო, ერთი მანეთი მომეცი და მე დავიწერ თხოვნასო. თუმცა იმედ-დაკარგული ვიყავი, მაგრამ მაინც დავაწერი ორი თხოვნა და მივართვი ერთი პ. ძ. დივიზიის ნაჩაღნიკს.

ერთის კვირის განმავლობაში

ლე გაუგიათ და ახლა ამ ნაირი ბეჭდებით შემკულ საჩივრებს ან თხოვნებს ისე სცემენ პატივს, როგორც ხ.ხე ნაჭამ პირს.

ამ გვარი ოინზაზებში ერთი-ორი კიდევ არიან დარჩენილი და ყველა საქმეში ეკვენებიან.

ამას წინად აქაურ მომრიგებელ მოსამართლეს ბატ. ბონდირევს ერთ ამგვარ კაცისათვის უწყევინებია, ე. ი. უსამართლო საქმე არ მოუგებინებია და პეორეს გამოძიებელი ვერ დაუთანხმებია, რომ ავაზაკების სასჯელი შეემსუბუქებინა. ამისათვის გაჯაგრებულს ორა თუ სამი საჩივარი გაუშვადებია ბონდირევს და გამოძიებულზე და კიდევაც გაუგზავნიათ; მაგრამ ექვი არ უნდა, რომ ჩვენ მთავრობას გასაყიდი ბეჭდებით დარტყმულ საჩივრებით შეცდომაში ვერ შეყვანებენ და ისინი თავიანთ მიზანს ვერ მიეღწევიან. არა-ერთხელ გვითქვამს და

მოსთხოვეს საჩივროდ პასუხი და დიდი ფაცა-ფუცი შეეჩქნენ და თ. ლ — ძეს. იწყეს ცხვენა მუქვან ქულებს შამოძლევა მოსარიგებლად ფულების, პირველად შემადიღეს 50 მანეთი და ავიდნ ოთხას მანეთამდი. შამომიგზავნეს ისეთი კაცები, რომ მოსვენება არ მომცეს და მიმალდინეს ოთხასი მანეთი, და მოუწერე ხელი საჩივარის მოსპობისა.

მე მათგან ვაჭივრებული კაცი, ადგილზე და საქმეზე მოშორებული, დამაჯერეს ამხანაგებმა და მივიღე ფული; მაგრამ ნეტავი ის მაცოდინა — ის მორიგების ქალაღდი, როგორ უნდა წარუდგინონ უმაღლესს მთავრობას? რა უნდა თქვან — რისთვის მოურთიგდით?

ეს ხომ ასეა, ბატონებო, ავიღე ფული და მოვსპე საქმე. ახლა ვთქვით მეორეს და მესამეს ხო არა შეუძლია ამღონი დევნა საქმისა, და ისე რჩებიან ტყულა უბრალოდ წვალეულები, — ამისათვის ვსთხოვე, ბატონო რედაქტორო ადგილი მისცეთ ჩემს წერილს, რომ იქნება შემდეგში მაინც მოერიდონ ამისთანა უსამართლოებას, და ჩემისთანა საწყალი კაცი ასე უსამართლოდ აღარ დიტანჯოს.

თუ ვინმემ ექვი შემოიღო ამ წერილზე და ხმა ამოიღო, მე შემოძლია დავამტკიცო, რომ, მე, თავისუფალი კაცი, პოლკის კამანდირმა ხუთის დღით უსამართლოდ ჩამსვა საპრობილეში.

დასწარე ვანძიე.

უცხოეთი

(გაზეთებთან)

საშრანბეთი. ეს რამოდენიმე ხანია, როგორც საფრანგეთისა, აგრეთვე თითქმის მთელი მეოროპის ყურადღება მოქცეულია რომწორის პროცესზე. რომწორისაგან ღირსეულად დამსახურებულია ეს ყურადღება. უკანასკნელ წლებში იმპერიისა დედად გამოიჩინა იქან თავი შესანიშნავის ქურნალის „Lanterne“-ის გამოცემით. მან მიიზიდა ხალხი და დღემდის

ათასჯერ ვიტყვით, რომ ბ. ბონდირევისთანა კეთილ-სენილისიანი, პატიეცემული მოსამართლე იშვიათად იბოგება და ბათუმელებმა, რომ დიოგენით ფანრით დღისათ ეძებონ, ვერსად ვერ ნახვენ. და ჩვენი ბათუმის მაზრის და მცხოვრებლების — ჩვენი სულის კანონების უცოდინარი ხალხის — უბედურება მაშინ იქმნება, თუ იმისთანა ზნეობით დაცემული ხალხის სიტყვას ვინმემ ყურა უგდოს და ეს აქედამ გადაიყვანეს. ერთი მამობრივი რჩევა და სულ-გრძელური მოსამართლობა, სხვის ფეხების ბრაგუნისაგან შეშინებულს, ამისაგან შეუძლია მიიღოს.

კრახანსა.

5 დეკემბერს. ბათუმი.

რჩება საყვარლად საფრანგეთის დემოკრატიისა თავის ნიჭისა და მახვილობის წყალობით. მრთს დროში რომელი ცდილობდა პოლიტიკურს ასარჩევად გამოსვლასაც, მაგრამ ამ ცდამ კინალამ სულ დაამდაბლა მისი სახელი, რადგან ვერავითარი ორატორული ნიჭი ვერ გამოიჩინა. ბამბეტასთან ერთად ნაპოლეონის დროს, რომელი ამორჩეული იყო დებუტატად ქანონმდებელ პარლამენტში. რომელი დებიუტი, პირველი გამოსვლა პალატაში ძალიან სუსტი იყო და ეს ნიჭიერი მწერალი ისევ თავის ხელობას—ლიტერატურას დაუბრუნდა და პოლიტიკას თავი დაანება. რომელი თითქმის გაურჩევლად ჰკიცხავდა ყველა საფრანგეთის მმართველობას, როგორც იმპერიას, ისე რესპუბლიკურს. 1871 წელს, იმან მიიღო ცოტა მონაწილეობა კომუნაში. ტიერის პრეზიდენტობის დროს განდევნილი იყო საფრანგეთიდან და რომ დაბრუნდა, მიჰყო ხელი ერთად წერიმალ რევოლუციურ აგიტაციას, რომელსაც უფრო კერძობითი ხასიათი ჰქონდა, ვინც სხვა რაიმე.

რომელი არასოდეს არ ამბობს, თუ რა გვირის წყობილობით უნდა შეიცვალოს ის სისტემა, რომელსაც ის ჰკიცხავს, დასცინის, ან ვის დასცემდა ის იმ მიწისტრების მაგიერ, რომელთა მოქმედებასაც ის ჰკიცხავს.

მაგალითად, ამ უკანასკნელ დროს, რომელი ბრალსა სდებდა ოქტომბრის მომქმედ დიპლომატთა, მინისტრთა სხვა-და-სხვა ვითომ ბოროტ და უწყისო მოქმედებაში. ამ ხმების გაგრძელების გამო მას აუტყდა ერთი პროცესი რუსეთთან, საფრანგეთის წარმომადგენელთან ალჟირიაში. ნაფიცთ ვეჭილებმა რომელი სასარგებლოდ გარდასწყვიტეს ეს საქმე და ამ გვირამა გარდაწყვეტილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის საზოგადოებაში.

განსახლება

დვისტიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დავით იაკობის-ძე ავლოვი აცხადებს, რომ ამ თვის წ-დამ, მომავალი წლისა, გაისყიდება მის სკოლაში ავტალის ქუჩაზე, სახლ. № 59, ახალ-გაზდა დასარგავი ხეები, შარაიანის მამულიდან, რომელიც იჯარით აქვს მას აღებული ძავეკისაში ძრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან. ეს მამული აღრე ჰქონდა იჯარით ილიაშვილის და შემდეგ სულიანის ქალს. სკოლა დიდა დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (3—3)

ბრიჭროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იონანიანიანთან (ოკრუჩის სულის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ. ხატურა — — — 10 კ.

ისყიდება


25% ნაკლებ მინამ სხვა ადავას ხაი, გაკაო, შეკოვადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თევზები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნასები, პირის-სახისი, კლიტები, სამურველი, ტანისამოსის სავიდი, გოვზები, დანები, კაღები, ქადადი, კანკეტები, რვეულები, კანანდაშები, თოფები, რვეოლეტები, კანკები, ზღაშები, ვანები, ქაშები, საყუდურები, კლიანკა, უნავრები, ღაგები, უთაბები, ტასტები, პირისსახედი, ცხვირის-სახედი, ხუდელები, ტუდების სახინი, დუხები, შარბათი, ციტმატაგენი, ქინას ღვინო, შარტ-გვინი, სერესი, გონიავი და ათასი სხვ. რამეები, — ინგლისის მაღაზიაში. იქვე ხაი ვაჭრობათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გარკანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უბრველი ხანისისა 2 მ.—წონა უქადადით.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრიკადამ—120 მან. რვეოლეტები 4—34 მან. და ბუდდგისა 11—20 მ. ქაღის უნავრები 65 მან-დამ; შეფიდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაშ-დამ დუჟი, ალბომები ხანგვარ ფასად, ფილტრები და სხვ. უკვლავად უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რვეოლეტებისა თფილისში. (100—47)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იუიღოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაშ. და 2 მან. და შედაროს ჩაის 1 60 კაშ. და 3 მან. უკვლავან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაი ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამღვეს ჩაის წმინდა წონით უქადადით და უტყვიით. (100—94)


ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვემ დაარსებულა ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რვეოლეტებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კანკეტებისა, დანებისა, გოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, გაკაოსი, დუხებისა, სახინისა, შხა კებისა, ცხვირ-სახედისა, ქადადისა, კანანდაშებისა, კაღებისა, უნავრებისა, სუკრისისა (გემიელი კლეშინიანი ზეთისა) და სხვ. სააგესტო მაგისტრის მისხსურავებს გასასყიდლად კანკეტების და ბატკურის და კაშ. მურაბისა, აგრეთვე ხუდელებისა და წინდებისა ნოტისგამადამ. ნამდვილი ქაგანას ვაჭრები. (100—47)

ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში **ქუთაისში** მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვირი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეზოვებად საეფო და საქალეზო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დამგვარად დაზაზული რვეულები, ასი-5 მანეთი., მუხიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან. ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასარულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—30)

ინგლისის მაღაზიაში **სარეზერვუარი**  **სარეზერვუარი** ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გარკანით 2 მანეთი და 28 კაშ. აქვე ისყიდება ქინის ზამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. ხანტკები თავის ტყვიდის მოსასპობლად, ტუდების სახინი, დუხები და სხვ. (100—71)

ინგლისის მაღაზიაში აწარუნის გალგურიაში (Maison de confiance) შედარეთ ხეხი ჩაი ჩაის უკვლავან — — 1 მ. 10 კაშ. — 1 მ. 40 კაშ. — — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაშ. — — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაშ. — — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაშ. — — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაშ. სუუთისა 2 მანეთ. — 3 მანეთ. ჩაის წონა—უქადადით, სხვაგან კი ქადადით. (100—71)

აბონამენტი ძაროული თვატრისა იმართება მარტო ექვსი წარმოდგენითათვის პირველ იანვრამდის 1882 წ. ფასი დაკლებულია: ლიტ. და შუალოფ. 54 მ.—60 მ. ლოფ. №1,2,19,20 30 მ.—42 მ. დანარჩენი ლოფები 36 მ.—48 მ. კრესლო 1 რიგისა 15 მ.—18 მ. კრეს. 2 და 3 რიგისა 10 50 —12 მ. მ. კ. სკამი მესამე რიგ. 4 50 — 6 მ. აბონამენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის. ძაროული თვატრის გამგენი { კ. აბაშიძე კ. მესხი.

ისყიდება 15,000 თფიშა  თო 15 კაშ. 12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაშ. 10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაშ. 10,000 ფოდნასი და გასაღები თითო 15 კაშ. 10,000 ნეესი, 8 კ. 40-მდინ ასი. 10,000 ზეწადა თავის პირბორით თითო 5 კაშ. 5,000 ბოთლი შარტკვინისა და ხეწესის თითო 1 მან. 2,000 არშინი კლიორკა 60 კაშ. 2 მან. არშინი. 2,000 დიუჟანი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაშ. დიუჟი. 2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაშ. გირვ. 1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ღვი-ზიოშა 50 კაშ. გირვ. 600 ინგლისის რვეოლეტები 4 მან. 34-მდი. 300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან. დრაპი, მაული, ტრიკო, ალბომები, სახამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მაღაზიაში. (40—11)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იმდებება: ზარესინა 40 კაშ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაშ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—47)

ბამსია საკვებავ ხორაგვულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბანკებში, დუქნებში და დატარებით 1 დეკემბრამდის 1 ანგრამდის. ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის: პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ. მეორის " —1 გირ. 3 1/2 მესამის " —1 გირ. 3 კ იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ. მეორის " —1 გირ. 4 კ ჯვარის-მამის პური: პირველ ხარის. ლავში 1 გირ. 6 1/2 მეორის " —1 გირ. 5 კ. მესამის " —1 გირ. 4 1/2 ძროხის ხორცი: პირველის ხარისხის —1 გირ. 10 კ. მეორის " —1 გირ. 8 კ. სუცი — — —1 გირ. 15 კ. სხვის ხორცი 1 გირ. 10 კ. ღორის ხორცი: პირველი ხარისხის —1 გირ. 12 კ. მეორის " —1 გირ. 11 კ.